ეკატერინე
შავერდაშვილი

სახელმძღვანელოს როლი უცხო ენის გაკვეთილზე

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, მკითხველს გააცნოს უცხო ენის სახელმძღვანელოს როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სასწავლო მასალის განვითარების ასპექტები ენის ათვისებისას; სახელმძღვანელოს ფუნქციები, სახელმძღვანელოს სტრუქტურა, სახელმძღვანელოსა და სასწავლო გეგმის კავშირი, სახელმძღვანელოს შინაარსი, სახელმძღვანელოს შერჩევის და მისი სწორად გამოყენების პრინციპები.

უცხო ენის ათვისებისას მნიშვნელოვანი როლი უკავია სწორად შერჩეულ სახელმძღვანელოს, რომელიც სასწავლო პროცესის თანამდევი და აუცილებელი ელემენტია. მის გარეშე უცხო ენის შესწავლა საკმაოდ რთულია. ის მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლისთვისაც და მათთან ერთად ცნობილი დიდაქტიკური სამკუთხედის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სასწავლო გარემოში მასწავლებელთა ნაწილი უარს ამბობს ერთი რომელიმე სახელმძღვანელოს გამოყენებაზე და თავად არჩევს მასალას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა უმრავლესობისთვის მაინც სახელმძღვანელო რჩება ძირითად სამუშაო მედიად.

უცხო ენის ტრადიციული სახელმძღვანელოსგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ერთი წიგნისაგან შედგებოდა, დღეს მოსწავლესა და მასწავლებელს რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარი სასწავლო-მეთოდიკური კომპლექტების ფართო არჩევანი აქვთ. თანამედროვე სახელმძღვანელო მრავალი კომპონენტისგან შემდგარი კომპლექტია და მოიცავს მოსწავლის წიგნს, მოსწავლის რვეულს, მასწავლებლის წიგნს, აუდიო- და ვიდეომასალას, ტესტების რვეულს, გლოსარიუმს, CD-ს, სავარჯიშო წიგნებს, გრამატიკულ მასალას, ონლაინ მასალას და სხვ. ენის სრულყოფილად ათვისებისათვის აუცილებელია ყველა ამ კომპონენტის ინტეგრირებულად გამოყენება. რომელიმე მათგანის გამოტოვების შემთხვევაში მიზანი ვერ მიიღწევა.

ტრადიციულ სახელმძღვანელოებში ცენტრალური ადგილი უმეტესწილად ვრცელი მოცულობის ტექსტებსა და მათთან დაკავშირებულ გრამატიკულ მასალას ეკავა. თანამედროვე სახელმძღვანელოებში კი მნიშვნელოვანია:

- კომუნიკაციაზე ორიენტირება;
- ქმედებაზე ორიენტირება;
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება;
- ინტერკულტურული სწავლება;
- მოსწავლის ავტონომიურობაზე ორიენტირება და სხვ.

ტრადიციულ სახელმძღვანელოებში გრამატიკულ მასალასთან კავშირში ხდებოდა მოცემული სიტუაციების, არაავთენტური ტექსტების, დიალოგების, დავალებების შერჩევა. დღეს კი გრამატიკის შესწავლა არა მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის ისეთივე საშუალება გახდა, როგორიც, მაგალითად, ახალი სიტყვების დასწავლა, მათი სწორად წარმოთქმა და სწორი მართლწერაა. თანამედროვე სახელმძღვანელოში დიდი ადგილი უკავია ავთენტურ მასალას, კრეატიულ დავალებებს, კულტურათა დიალოგს, დისკუსიებში

მონაწილეობას, არგუმენტირების უნარის გამომუშავებას, საკუთარი პოზიციის გამოხატვას უცხო ენაზე და ა.შ. გრამატიკის და ლექსიკური ერთეულების დაზეპირებამ ადგილი სოციალურ-კულტურული ინფორმაციების, კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმების შეტანას დაუთმო და გრამატიკაზე ორიენტირებული ტექსტები ავთენტურმა მასალამ ჩაანაცვლა. კლასიკური ნაწარმოებების დეკლარაციული კითხვა ინტერაქტიული სასწავლო გარემოთი შეიცვალა და წერითი ენის სწავლება ენის როგორც კომუნიკაციის საშუალების ყოველდღიურ, ყოფით სიტუაციებში სწავლებამ ჩაანაცვლა. კოგნიტური ცოდნისა და ფაქტებზე ორიენტირებული ტექსტების დასწავლა (რაც, უპირველეს ყოვლისა, შესასწავლი ენისა და ქვეყნის ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტების, პოლიტიკის, ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის შესახებ ცოდნის გადაცემით შემოიფარგლებოდა) ამავე ტექსტების საშუალებით ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის მენტალიტეტის, მათი ყოფა-ცხოვრების ამსახველი ინფორმაციების გაცნობითა და სხვადასხვა კულტურების შესახებ დიალოგის წარმართვით შეიცვალა. დღევანდელ სახელმძღვანელოში შესასწავლი ენისა და ქვეყნის, მისი კულტურის გაცნობა ენის ათვისების სხვა ასპექტებთან (ახალ მასალაში შეტანილი ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული მოვლენები; მოსმენის უნარ-ჩვევაში ვარჯიში და სხვ.) ინტეგრირებულად ხდება. უცხო ენის ათვისება, ენის სტრუქტურულ დონეზე დაუფლებასთან ერთად, განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასებასა და პატივისცემას გულისხმობს. ამდენად, დღეს სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს ენის შემსწავლელის კომუნიკაციური და ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება ენობრივი კომპეტენციის განვითარებასთან ერთად.

სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავია სახელმძღვანელოს სწორად შერჩევას. სახელმძღვანელოს შერჩევისას (როგორც მოსწავლისათვის, ასევე მასწავლებლისათვისაც) სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებაა საჭირო. სწორად შერჩეული სახელმძღვანელო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში გვეხმარება და მოსწავლეს ენის სრულყოფილად ათვისებას უიოლებს. არჩევანის სწორად გაკეთება სასწავლო პროცესს ორივე მხარისათვის საინტერესოს ხდის და სასურველ შედეგს იძლევა. როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის მხრიდან

» უცხო ენის ათვისებისას მნიშვნელოვანი როლი უკავია სწორად შერჩეულ სახელმძღვანელოს, რომელიც სასწავლო პროცესის თანამდევი და აუცილებელი ელემენტია. მის გარეშე უცხო ენის შესწავლა საკმაოდ რთულია. «

სახელმძღვანელოს შერჩევა საკმაოდ რთულია, რადგან ფართო სპექტრმა შეიძლება ისინი დააბნიოს და კარგი სახელმძღვანელოს მიგნება გაძნელდეს.

სახელმძღვანელო ეფექტური შედეგის მომტანია მაშინ, როდესაც ავტორებს გათვალისწინებული აქვთ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი მოთხოვნები და მოტივაცია (შესაბამისი ასაკის მოსწავლისათვის საინტერესო სფერო/თემა, რითაც მისი მოტივირება შეიძლება და სხვ.), მოსწავლეთა ცოდნის დონე და ენობრივი სირთულეები (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით, მოსწავლეთა ცოდნის დონე და ამ დონისთვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომები და სხვ.), მოსწავლეების სწავლის სტილი (სტრატეგიები და ტექნიკები) და სხვ.

ხშირ შემთხვევაში, უჩვეულო კონცეფციით შედგენილ სახელმძღვანელოებზე მუშაობა შეიძლება პრობლემას წარმოადგენდეს როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვისაც. ტრადიციული სახელმძღვანელოებით მომუშავე პედაგოგისათვის ძნელია, მაგალითად, ჩვეული გრძელი ტექსტების ნაცვლად ახალ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ პატარა ტექსტებზე მუშაობა; ან ტექსტების სათარგმნად თუ მოსათხრობად მიცემის ნაცვლად გრძელი ტექსტების წერითი დავალების იმპულსად გამოყენება გაკვეთილზე; ან მოსწავლეებისათვის გრამატიკული წესების მშობლიურ ენაზე ახსნის ნაცვლად ახალი გრამატიკული წესების მოსწავლეების მიერვე ფორმულირება და ა.შ.). სახელმძღვანელოზე მუშაობისას აუცილებელია მასწავლებლის წიგნის გამოყენება, რადგანაც მასწავლებლის თანამედროვე წიგნი მეთოდიკა/დიდაქტიკაში მიმდინარე ყველა სიახლის გათვალისწინებითა არის შედგენილი, გაკვეთილები დეტალურად არის გაწერილი და მასწავლებელს დიდ დახმარებას უწევს. საჭიროა, მასწავლებელი გაკვეთილის ჩატარების წინ ყურადღებით გაეცნოს სახელმძღვანელოს ავტორების მიერ დეტალურად აღწერილ მონაკვეთებს და გამოიყენოს მეთოდური მითითებები, რაც სასწავლო პროცესს ეფექტურს გახდის, მოსწავლე საინტერესო გაკვეთილის მომსწრე გახდება და შედეგიც სასურველი იქნება.

წლების განმავლობაში არსებობდა მოსაზრება, რომ სახელმძღვანელო მოსწავლისთვისაა განკუთვნილი, თუმცა დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ ის არანაკლებ დახმარებას უწევს მასწავლებელს და მას სასწავლო გეგმაში დასახული მიზნების განხორციელებასა და სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში ეხმარება. სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი სახელმძღვანელო მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესის ორიენტირია. როდესაც მასწავლებელი კარგად იცნობს სახელმძღვანელოთი მუშაობის თანამედროვე პრინციპებს (სახელმძღვანელოს ყველა ნაწილის ინტეგრირებულად გამოყენება, მასწავლებლის წიგნზე მუშაობა და ა.შ.) და იყენებს მათ მუშაობისას, სასწავლო პროცესი იდეალურად მიმდინარეობს, მოსწავლე მოტივირებულია და ენის ათვისებაც იოლად ხდება. შეიძლება სახელმძღვანელო ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო გეგმაში მოცემულ სასწავლო მიზნებსა და შინა-

» კარგი სახელმძღვანელო მხოლოდ მაშინ არის დადებითი შედეგების მომტანი, თუ მას მასწავლებელი სწორად შეიტანს გაკვეთილზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის წიგნის დახმარებით მასწავლებლის მომზადებასა და გაკვეთილზე სახელმძღვანელოს ყველა ნაწილის ინტეგრირებულად მიწოდებას გულისხმობს. «



არსს, მაგრამ მასწავლებლის არასწორმა მუშაობამ მოსწავლეები სავალალო შედეგებამდე მიიყვანოს. არის შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, უცხო ენაზე მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებისათვის სახელმძღვანელოში მოსასმენი ტექსტია შეთავაზებული ყველა კლასიკური დავალების თანხლებით (მოსმენამდე, მოსმენის დროს და შემდეგ შესასრულებელი დავალებები), მაგრამ მასწავლებელი სხვადასხვა მიზეზის გამო (ტექნიკური საშუალებების არქონა, მოსასმენი ტექსტის არასაჭიროდ მიიჩნევა და სხვ.) ტექსტს არ ასმენინებს მოსწავლეებს და ამის ნაცვლად თვითონ უკითხავს მას. ზოგჯერ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებისგან ითხოვს მხოლოდ ორი დავალების შესრულებას: 1. წაიკითხე ტექსტი და თარგმნე; 2. გადმოეცი ტექსტის მოკლე შინაარსი. მასწავლებლის მიერ სახელმძღვანელოზე ასეთი მუშაობით, რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოს ამ ნაწილის მიზანი (მოსასმენი ტექსტის გაგება, გააზრება, მოცემულ თემებზე დისკუსიის წარმართვა და ა.შ.) ვერ მიიღწევა და გაკვეთილიც საკმაოდ მოსაწყენი და არაფრის მომცემი გამოვა.

აუცილებელია, მასწავლებელმა მუშაობისას გამოიყენოს მასწავლებლის წიგნი, რომელშიც მისთვის საჭირო დამხმარე მეთოდური მითითებებია სახელმძღვანელოს ავტორების მიერ წარმოდგენილი. კარგი სახელმძღვანელო მხოლოდ მაშინ არის დადებითი შედეგის მომტანი, თუ მას მასწავლებელი სწორად შეიტანს გაკვეთილზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლის წიგნის დახმარებით მასწავლებლის მომზადებასა და გაკვეთილზე სახელმძღვანელოს ყველა ნაწილის ინტეგრირებულად მიწოდებას გულისხმობს.